პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ა. ა. ჟდანოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Орган партийного комитета, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოდის მეცხრე წელი

№ 3 (278)
პარასკევი,
15
იანვარი,
1960 წ.
ფასი 20 კაპ.

ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო აღრიცხვის სპეციალობის II კურსის სტუდენტმა ვალიკო ზედელაშვილმა ზამთრის საგამოცდო სესიები წარმატებით დაიწყო. უმაღლეს მათემატიკასა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ეკონომიურ ფორიადში შეფასება დაამსახურა. ხუთიანებისაკენ გზა გაკაფულია. ვალიკო ახლა მეტი მონდომებით შეუდგა მორიგ გამოცდებისათვის მზადებას.

კომუნისტი სტუდენტები გამოცდებზე

უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში ათეულობით სტუდენტი-კომუნისტია აღრიცხვაზე. ისინი კომკავშირელ და უპარტიო სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობაში ფაკულტეტების დეკანატებისა და პარტიული ბიუროების მთავარ დახაყრდენ ძალას წარმოადგენენ. როგორც წარმოებაში, ჩვენს უნივერსიტეტშიც კომუნისტ სტუდენტებს ეკისრებათ ავანგარდული როლის შესრულება სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში. მათ, თავიანთი სამაგალითო და ბეჯითი შრომით, ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდობის აღზრდას ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო მოქალაქეებად.

კომუნისტმა სტუდენტობამ თავი რომ გამოიჩინოს, როგორც ავანგარდულმა ძალამ, საჭიროა ფაკულტეტების პარტიული ბიუროები სისტემატურად მუშაობდნენ მათთან, ხელს უწყობდნენ ახალგაზრდა კომუნისტების ყოველმხრივ აღზრდას ნაკუთარი და სხვისი ნაკლოვანებების დანახვის, მხილებისა და გამოსწორებისათვის, მათში პარტიული პრინციპულობის გამომუშავებას.

ახალგაზრდა კომუნისტების პარტიული წრეთოის თვალსაზრისით მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში სერიოზული მუშაობა აქვთ ჩატარებული რიგი ფაკულტეტების პარტიულ ბიუროებს. ამ მხრივ აღსანიშნავია გეოგრაფია-გეოლოგიის, იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტების პარტიული ბიუროების მუშაობა (პარტბიუროს მდივანი — ამხ. ამხ. ა. კოტარია, დ. ცინცაძე, ი. მუკირი). ისინი სისტემატურად ისმენდნენ ახალგაზრდა კომუნისტების თვითანგარიშებს ბიუროს სხდომებზე. პარტიული პირდაპირობით ავლინებდნენ ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში და უხმარებდნენ შეცდომების გამოსწორებაში. მუდმივ დავალებათა გარდა, ახალგაზრდა კომუნისტებს აძლევდნენ ერთდროულ დავალებებს და სისტემატურად ამოწმებდნენ მათ მიერ ამ დავალებათა შესრულებას. მუშაობის ასეთი მეთოდი ხელს უწყობს ახალგაზრდა კომუნისტებში პირადი პასუხისმგებლობის გაზრდას, ამხანაგებს შორის მათი ავტორიტეტის ამაღლებას.

უნივერსიტეტის კომუნისტი სტუდენტების მხრივ საკუთარი თავიადმი მომთხოვნელობისა და პარტიული ბიუროების მხრივ მათთან სისტემატურად ჩატარებული მუშაობის შედეგებმა უკვე ნათლად იჩინა თავი ზამთრის საგამოცდო სესიების მსელელობაში.

უნივერსიტეტის ცალკეულ ფაკულტეტებზე მოსწავლე 70-ზე მეტი კომუნისტი სტუდენტიდან, თითქმის ყველა წარმატებით აბარებს გამოცდებს. იურიდიულ ფაკულტეტზე აღრიცხვაზე მყოფი ცხრამეტივე კომუნისტი სტუდენტი ყველა დისციპლინაში ასწრებს. გამოცდებზე საუკეთესო მომზადება გამოამჟღავნეს და ყველა საგანში ფრიადი შეფასება დაიმსახურეს ახალგაზრდა კომუნისტებმა: ბ. ბარამიამ, გ. გილოკაშვილმა, ლ. ხვარკელიამ და ა. ახვლაძემ (იურიდიული ფაკ.). ასეთივე მაღალი შეფასებები დაიმსახურეს პირველ გამოცდებზე ი. ცქიტიშვილმა და ვ. სულაკაურმა (ფილოლოგიის ფაკ.), ა. ნაკაიძემ, რ. შეტრეველმა, კ. ქურდაძემ, ი. აზნაურაშვილმა, ი. გუგეშაშვილმა, ა. ლაბაძემ, გ. ჯაოშვილმა, ნ. აღდგომელაშვილმა, ჯ. გიორხელიძემ, ო. ფხაკაძემ, დ. კაპანაძემ, უ. ნანსუანმა, ა. ჩიხრაძემ (ისტორიის ფაკ.), ო. მოზაიძემ, ჯ. ადეიშვილმა, გ. არაქელაშვილმა და გ. გამსახურდიამ (ეკონომიური ფაკ.), ნ. ჩიქოვანმა (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), მ. ჯაველმა (ფიზიკის ფაკ.) და ა. შ.

ერთი სიტყვით, პირველი შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტის კომუნისტმა სტუდენტებმა გამოცდები კარგად დაიწეს. მიუხედავად ამისა, ეს მაინც არაა საკმარისი. კომუნისტი სტუდენტების ნაწილი ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, მოისუსტებს მათი ავანგარდული როლი მეცნიერების საფუძველთა დაუფლებისათვის ბრძოლაში, რა უნდა ისწავლონ, მაგალითად, კომკავშირელმა და უპარტიო სტუდენტებმა კომუნისტ ლ. ბუხმენსკაიასგან (ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილება), რომელსაც ჯერ ჩათვლა არ მიუღია ფიზკულტურაში, ხოლო გამოცდებზე ფიზიკასა და თეორიულ მექანიკაში სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა და ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება. დამფიქრებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი კომუნისტი სტუდენტი მხოლოდ „დამაკმაყოფილებელს“ იღებს საგამოცდო საგნებში. კომუნისტმა კიკაბიძემ (იურიდ. ფაკ. I კ.) 13 იანვრამდე ორი საგანი ჩაბარა და ორივეში ნიშანი—„დამაკმაყოფილებელი“ დიამსახურა. გაჭირვებით აბარებენ საგამოცდო საგნებს კომუნისტები: ი. გრძელიძე (ბიოლოგიის ფაკ. II კ.) შ. მეცხვარიშვილი (მექანიკა-მათემატიკის ფაკ. III კ.) ნ. რევაზოვა (მექანიკა-მათემატიკის ფაკ. I კურსი) და სხვ.

საკუთარი თავისადმი მეტი მომთხოვნელობა მართებს პირველკურსელ კომუნისტებს. მათ სწავლისა და სამეცნიერო წვრთნის დიდი გზა უდგია წინ, ამიტომ პირველი კურსიდანვე სამიანებით აღებული სტარტით საეჭვოა ისინი წარმატებით მივიდნენ ფინიშამდე. ხელმწიფო გამოცდებამდე. პირველკურსელ კომუნისტებთან მუშაობას უფრო მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი პარტიულმა ბიუროებმა და კათედრების პარტგაფუფებმა, სათანადო დეკანატებთან და კათედრის გამგეებთან ერთად.

ზამთრის საგამოცდო სესიები მხოლოდ ახლა იწყება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. კომუნისტ სტუდენტებს სრული შესაძლებლობა აქვთ ორგანიზებულად და წარმატებით ჩაბარონ დარჩენილი საგნები და სასახელოდ დაამთავრონ სასწავლო წლის პირველი ნახევარი.

პირველი დღეების შედეგები

ზამთრის საგამოცდო სესიები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები გამოცდებისათვის მზადებას ენერგიულად მოეკიდნენ. ბეჯით მუშაობას ნაყოფი ყოველთვის კარგი მოაქვს და, როდესაც ამ კურსის სტუდენტები წარდგნენ პირველ გამოცდაზე ბუდგოგიკაში, მათაც კარგ შედეგებს მიაღწიეს. შეფასება ფრიადი მიიღეს სტუდენტებმა: ა. მუშკუდიანმა, გ. ყალიჩავამ, ო. ფხაკაძემ, ა. ბეგლავამ, ბ. გიორხელიძემ, ლ. მოწონელიძემ, მ. ყაზიზოვმა, გ. ხეცურიშვილმა, გ. ჯაოშვილმა და სხვ.

საერთოდ, ამ საგანში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი არცერთ სტუდენტს არ მიუღია.

ჩვენი კურსის სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით განაგრძობენ მეცადინეობას შემდგომი წარმატების მოსაპოვებლად. მათ სურთ, რომ ჩვენი კურსი ერთ-ერთი მოწინავეთაგანი იყოს არა მარტო ფაკულტეტზე, არამედ მთელს უნივერსიტეტში.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, ამხანაგებო!

იური ნემსიწვერიძე

კარგი მომზადების ნაყოფი

ზამთრის საგამოცდო სესიებს ფილოლოგიის ფაკულტეტის (ქართული სექტორი) III კურსი მომზადებულად შეხვდა. გამოცდების დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრე დაიწყო ამ კურსის ნაყოფიერი მუშაობა. ამოქმედდა ყველა— ძლიერია და სუსტიც. ხშირად შეხვდებოდით ამ კურსის სტუდენტებს ერთად თავმოყრილნი, რომლებიც რთულსა და გაუგებარ საკითხებზე მსჯელობდნენ. ამ მხრივ სტუდენტები არ ერიდებოდნენ ლექტორების „შეწუხებასაც“.

გამოცდების დღეებში ნათლად გამომჟღავნდა კოლექტივისა და უანგარო ამხანაგობის ძალა. ჩაბარებულ ორ საგანზე (ფსიქოლოგია და საზღვარგარეთული ქვეყნების ლიტერატურის ისტორია) სტუდენტებს დაძაბული და შრომატევადი მუშაობა მოუხდათ. სადაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან წიგნებით დახუნძლული მესამეკურსელებს დაინახავდით. შრომის კარგი ორგანიზაციის შედეგად კარგ მაჩვენებლებსაც მიაღწიეთ. ბეჟანა ფრიადითა და კარგით დაამშვენა თავისი ჩათვლის წიგნაკი. კარგი ცოდნით თავი გამოიჩინეს სტუდენტებმა: გ. ჩიკვილაძემ, ნ. თოდრიამ, ე. კონტრაძემ, დ. მელქიშვილმა, ნ. ხერხეულიძემ, ლ. ასლამაზოვამ, თ. ონიამმა, ლ. სტურუამ და სხვებმა.

არც შემდეგ შეირჩევნენ თავს მესამეკურსელი ფილოლოგები.

ლამარა მემარნიშვილი

გოდოც, აღგათ, სასიხარულო ი ქ ნ ე ბ ა

მომზადებული შეხვდა გამოცდებს ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსი.

აღვლენა და შში ტუფოობდთ პირველკურსელებს ივნერის გამოცდების წინ, მაგრამ ბეჯითი შრომის შედეგად პირველი შში დაძლეულია.

პირველ გამოცდაზე (საქართველოს ისტორია) სტუდენტებმა თავი ისახელეს, ფრიადი და კარგი ნიშნები მიიღეს.

შემდეგ რუსული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე კიდევ უფრო თამამად გამოსცადდნენ. შედეგი სასიამოვნოა: ჯ. ჭკვალაშვილმა, ა. ბეხრაშვილმა, რ. ცეცეკარიძემ, ნ. თუთბერიძემ, ე. დრეიძემ, ე. ჰაპაშვილმა, გ. ბახტაძემ, გ. ფოლაშვილმა, თ. ჩიტაურმა ფრიადი შეფასება მიიღეს.

ორი გამოცდა კიდევ წინაა. სტუდენტები მეტი ენერგიით ემზადებიან. ბოლოც, ალბათ, ასევე სასიამოვნო იქნება.

ანზორ ბარამია

ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 4 სტუდენტთა სამეცნიერო წრე მუშაობს, რომელთა სხდომებზე, პირველ სემესტერში წაკითხული იქნა ბევრი საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება.

მათემატიკის წრეში (თავმჯდომარე V კ. სტ. ვ. კოლუოძე), მოსმენილი იქნა 11 მოხსენება. წრის მეცნიერი ხელმძღვანელის, დოც. ლ. მაღნარაძის აქტიური დასწრებითა და ხელშეწყობით წრეში სანმოუშოდა დაყენებული დისკუსიანი. კარგია მოხსენებათა ხარისხი. წარმოდგენილი მოხსენებებიდან მაღალი შეფასება დაიმსახურეს ზ. ჭანტერიამ, ვ. პაატაშვილის, გ. გრიგოლიას და სხვათა შრომებმა. სხდომებზე სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებების გარჩევა-შეფასებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფ. ა. ხარაძე და დოც. ბ. კოლინა, რაც ზრდის სტუდენტთა დაინტერესებას და ხელს უწყობს წრის საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას.

მექანიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში (თავმჯდომარე V კ. სტ. რ. ხაბაური, მეცნიერი ხელმძღვანელი დოც. ვ. პატარაია) მოსმენილი იქნა 4 მოხსენება, რომელთაგან უმეტესობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ფაკულტეტზე სულ 3 თვეა, რაც ჩამოყალიბდა გამოთვლითი მათემატიკის წრე, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს IV კ. სტუდენტი გ. ავალიანი (მეცნიერი ხელმძღვანელი დოც. თ. ცხადაია). წრის სხდომებზე მოსმენილი იქნა მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი 5 მოხსენება.

ასევე ნაყოფიერად მუშაობს ასტრონომიის წრეც (თავმჯდომარე IV კ. სტ. ნ. ჩიქოვანი, მეცნიერი ხელმძღვანელი დოც. ლ. მაღნარაძე), რომელშიც 4 მოხსენება იქნა მოსმენილი.

წრეების საქმიანობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო (თავმჯდომარე ზ. ჭანტერია). კიდევ უფრო ჯაშლიან აღნიშნული წრეები თავიანთ მუშაობას II სემესტერში.

ა. აბესაძე

საწარმოო გეგმების შესრულების საკითხი პარტიულ კრებაზე

ამ დღეებში ჩატარდა უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის ღია პარტიული კრება, რომელშაც განიხილა საკითხი სტამბა-გამომცემლობის წლიური საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა სტამბა-გამომცემლობის დირექტორი ამხ. ალ. გაბესკირია, რომელმაც მიჯნეებთან ერთად ძირითადი ყურადღება გაამახვილა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კრებაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს ჩატარებულ იქნა პოლიგრაფიული ბაზის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციით გამოწვეულმა ნაწილობრივმა შეჩერებამ გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე უარყოფითად იმოქმედა. მიუხედავად ამისა, გამომცემლობამ გამოსცა 39 სახელწოდების წიგნი და 150-ზე მეტი სახელწოდების პროგრამები, სამეცნიერო სესიების თეზისები, ავტორეფერატები და, ლოვან ამოცანებს; აღნიშნეს, რომ საჭიროა წინ წამოიწიოთ საამქროების უფროსთა როლი, დროულად გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, ყველა საამქროში შეიქმნას კომუნისტური შრომის ბრიგადა. საჭიროა საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ხშირად ისმენდნენ საკითხს პარტიულ, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახავდნენ საჭირო ღონისძიებებს წარმატებების მისაღწევად.

კრებაზე სათანადო ადგილი დაეთმო შრომის დისციპლინის განმტკიცების, სტამბა-გამომცემლობის რიტმული მუშაობისა და სხვა საკითხებს.

სტამბა-გამომცემლობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ლ. ცერცვაძე

გამოცდების გამოცდილება

გამოცდები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც გამოსაცდელ სტუდენტს, ისე გამომცდელ პროფესორს თუ დოცენტს. გამოცდა იმის შემოწმებაა, თუ როგორ იქუმაგა სტუდენტმა სემესტრსა თუ წლის განმავლობაში. შეასრულა თუ არა მან თავისი ინდივიდუალური გეგმა, შეძლო თუ არა დაუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს, შეეცადა თუ არა იგი, ჩაეკითხებოდა რიგ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად თავისი პასუხები, მოემზადებინა იმ საკითხებზე, რაც კურსით არის გათვალისწინებული. მასწავლებლის პასუხისმგებლობა კი იმაშია, შეძლო თუ არა მან სასწავლო მეცნიერული დისციპლინის პროგრამული საკითხების სტუდენტამდე დაეტანა, აღძრა თუ არა მან სტუდენტში ინტერესი ამ საკითხებისადმი, შეძლო თუ არა კურსით გათვალისწინებული ყველა ძირითადი საკითხის გაშუქება.

მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ რიგი ისეთი დასკვნებისა, რომლებიც თანაბრად შეიძლება ყურადსაღები იყოს როგორც სტუდენტს, ისე ლექტორისათვის.

სტუდენტები, რომლებიც გამოცდებზე მოდიან, შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: სტუდენტები, რომლებიც მთელ სემესტრის განმავლობაში ინტენსიურად სწავლობდნენ, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სემინარულ მუშაობაში, მუშაობდნენ საკაბინეტოებში და ადგენდნენ კონსპექტებს, პაექრობდნენ უფროსებთან შორის და ცდილობდნენ საკითხების ღრმად შესწავლას. სამწუხაროდ, ასეთი სტუდენტები ჯერჯერობით კიდევ მცირეა, მაგრამ ასეთები არიან და მათთან გამოცდების ჩატარება უდიდესი სიამოვნებაა ლექტორისათვის. მიმდინარე საგამოცდო სესიების დროს მე გამოვცადე ასეთი სტუდენტები სახალხო მეურნეობის ისტორიაში. ესენი არიან ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები: კოკაია, კალანდაძე, შიშიტაშვილი, კუკულაძე, ზაქარიაძე და სხვები. ესენი ყველანი პირველი კურსის სტუდენტები არიან და როდენ სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ მათთან გაწეულმა შრომამ სათანადო ნაყოფი გამოიღო.

არიან სტუდენტები, რომლებიც გამოცდაზე მოდიან მხოლოდ დაზეპირებული კონსპექტებით. საკმარისია რაიმე დამატებითი კითხვის მიცემა ასეთი სტუდენტისათვის, რომ პასუხი შეაფერხოს. ასეთი სტუდენტი იმშვიდად კითხულობს წიგნს, მისთვის პრობლემები არ არსებობს, იგი არ ფიქრობს სასწავლო დისციპლინის ძირითად საკითხებზე. სწორედ ასეთ სტუდენტებად აჩვენეს თავი მიმდინარე საგამოცდო სესიებზე იმავე კურსის სტუდენტებმა: ჯინჯარეულმა, პირველმა, აღლეკაშვილმა, მიჩილაშვილმა, ინანაძემ, მაკარაძემ, კარკაშიძემ, ბარბაჭაძემ, ჩიკვაიძემ და ზოგიერთმა სხვამ.

მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელია სტუდენტთა მეორეხარისხოვანი ჯგუფი, რომელიც ფაქტიურად გამოთიშულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისაგან. ასეთი სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში არაფერს არ კითხულობენ, სისტემატიურად აცდენენ ლექციებსა და სემინარებს, მოწყენილი არიან საუნივერსიტეტო მუშაობას. ასეთ სტუდენტებს კატეგორიას მიეკუთვნებიან — გორდეზიანი, აბულაძე, მაღლაკელიძე, ქარჩავა, ლომსაძე. ეს სტუდენტები როდი არიან უნიჭონი ან გაუნათლებელნი. მაგრამ მათ ერთი საშინელი სენი სჭირთ: დიდად ეზარებათ წიგნთან ჯდომა, მუშაობა. მათ არ უყვართ სწავლა, არც თავისი მომავალი პროფესია. ვფიქრობთ, რომ ასეთი სტუდენტები შემთხვევით ელემენტებს წარმოადგენენ უნივერსიტეტში და საჭირო იქნება მათთან დაძაბული მუშაობის ჩატარება, რომ ისინი ნამდვილი სტუდენტები გახდნენ და თუ ეს შეუძლებელი გახდება, უნივერსიტეტმა მათგან თავი უნდა გათავისუფლოს.

არის კიდევ ერთი კატეგორია სტუდენტებისა, მეტად თავისებური და განსხვავებული. ესენი არიან სტუდენტები — იმპროვიზატორები, ისინი არ აცდენენ ლექციებსა და სემინარებს. არც წესრიგს არღვევენ, მაგრამ გამოცდაზე მოდიან სრულიად უცოდინარნი და რომ დაფარონ თავიანთი მოუმზადებლობა, იწყებენ იმპროვიზაციას.

გეგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობის მეორე ჯგუფში არის სტუდენტი, გვარად წურწუმია. გამოცდის მთელი ხნის განმავლობაში იგი არცერთხელ არ შეწერეულა პასუხის გაცემის დროს, მაგრამ მისი პასუხები მთლიანად გამოგონილი იყო და არაფერი ჰქონდა საერთო მოცემულ სამეცნიერო დისციპლინასთან. მე ეუსმენდი ამ სტუდენტს და ეფიქრობდი—როგორ მოვიდა ასეთი სტუდენტი III კურსამდე?

ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტების უმრავლესობა, რომლებიც დღის დასწრებულნი სწავლობენ, საწარმოო სტაჟის მქონენი არიან. ბაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მათგანი კარგად ეუფლება სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინებს და დაუშრეტ მსწრაფვას იჩენენ ცოდნის შეძენისადმი. ასეთები არიან ეკონომიური ფაკულტეტის ფრიადოსნები და კარგოსნები. ისინი ყველანი მეყაითობით და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან სხვებისაგან. მიმდინარე გამოცდებმა გააქარწყლეს ის აზრი შეხედულება, თითქოს სტაჟიანი სტუდენტი საერთოდ ჩამორჩენილია, რომ მასთან მეშაობა ძნელი იქნება. სინამდვილეში საწარმოო სტაჟი, მათი შრომის მაორგანიზებელი გახდა უნივერსიტეტში სწავლის დროს.

გამოცდებზე გაიზარდა მომთხოვნელობა მასწავლებლთა მხრივ. რიგ შემთხვევაში ამ მომთხოვნელობას ცალკეული სტუდენტები დიდი ტკივილებით განიცდიან. ისინი თვლიან, რომ გამომცდელი მათ. მიმართ მეტად სასტიკი და არაობიექტური იყო. სტუდენტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გამომცდელს მის მიმართ არაფერი პიროვნული არ ამოძრავებს, რომ მას სურს გაიგოს მხოლოდ სტუდენტის ნამდვილი ცოდნა. რაოდენ სასიამოვნოა მასწავლებლისათვის, როდესაც მისი სტუდენტების უმრავლესობა ფრიადოსნები და კარგოსნები არიან.

ახლა ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომთხოვნელობის ამაღლებაზე ალებული კურსი სამოლოდ განმტკიცდეს. უნდა შეიქმნას მტკიცე დისციპლინა როგორც სტუდენტების, ისე ლექტორების მხრივ. უდავოდ არის მიჩნეული: იქ, სადაც ლექტორი არღვევენ შრომის დისციპლინას, გულგრილად ეკიდება მასზე დაკისრებულ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს, იქ სტუდენტები ორმაგად არღვევენ დისციპლინას. ასეთ მდგომარეობას ახლა ბოლო უნდა მოეღოს.

უნივერსიტეტის დიდმა და საყოველთაო კოლექტივმა რექტორატისა და პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო დიდი ლაშქრობა დისციპლინის განმტკიცებისათვის და თვითეული ლექტორის, სტუდენტისა და თანამშრომლის მოვალეობაა იყოს მოწოდების სიმაღლეზე.

დოც. **ვ. ბაბტაძე**

სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის V კურსის დიპლომანტი სტუდენტები ანალიზური ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობენ თავიანთი სადიპლომო შრომების მასალებზე.

ფოტო გ. გაბუნიასი

წარმოებისგან მოუწყვეტლივ

კომენსიტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საშუალო სკოლის კურსს დამთავრებულმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან ერთად დაუსწრებლად მიიღონ უმაღლესი განათლება.

ამ ბრძნულმა გეზმა საუკეთესო შედეგი გამოიღო. გასულ წელს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან ახლადგახსნილ დაუსწრებელ განყოფილებას ასობით მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე ახალგაზრდა ესტუმრა მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. მათგან 80-ზე მეტი ახალგაზრდა მოიწყო და ახლა უკვე ერთი კვირაა პირველ შეკრებაზე ვართ უნივერსიტეტის აუდიტორიებში.

ყოველდღიურად, ლექციებთან ერთად, გვიტარდება სემინარები. მიუხედავად იმისა, რომ ლექციების დამთავრებიდან სეზონურ მუშაობამდე მხოლოდ საათნახევარია გვრჩება და სამეცადინო დრო არ არის, ლენინური პრემიის ლაურეატის, პროფესორ გიორგი მელიქიშვილის (ძველი ქვეყნების ისტორია), ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლ. გორგიელაძის (სკკპ ისტორია), პროფ. გ. ნიტაიის (ეთნოგრაფია), დოც. ო. ჯაფარიძის (პირველყოფილი საზოგადოების ისტორია), დოც. ვ. მაჭარაძის (სსრკ ისტორია) და სხვათა მიერ მაღალ დონეზე წაკითხულ ლექციებს საუკეთესოდ ვითვისებთ და ახსნილი მასალის შესახებ სემინარებზე ვსაუბრობთ, ვარკვევთ ჩვენთვის გაუგებარ საკითხებს.

ამ დღეებში ჩავთვლით საკონტროლო სამუშაოებს.

თეინგიზ გოგიაშვილი,
ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების I კურსის სტუდენტი.

1959 წლის ზაფხულში, დიდი შესვენების შემკვეთ, ჩვენი უნივერსიტეტის ზოგ ფაკულტეტთან ერთად, ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზეც ჩაირიცხა დაუსწრებელი სწავლების 83 სტუდენტი.

დაუსწრებლებთან მუშაობა თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ამიტომ აქ საჭიროა მუშაობის შესატყვისი მეთოდების გამონახვა.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ I კურსზე მიღებულ სტუდენტებს მაშინვე უნდა ჩაეტარდეს შეადარი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობანი. სათანადო მეთოდური მითითებების მიცემით უნდა დავეხმაროთ დაუსწრებლებს. საკვანძო საკითხების შესწავლაში, საჭირო ლიტერატურის შერჩევაში, იმთავითვე უნდა დაეფიქროთ საკონტროლო თემები, როგორც ზეპირი ჩაბარებისას, ისევე წერითი სამუშაოებისათვის, მივცეთ პროგრამები გეგმით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო დისციპლინაში და ა. შ.

ყველაფერი ეს საჭიროებს, რომ ჯერ ერთი, პროფესორ-მასწავლებლებთა განსაზღვრული ნაწილი იკისრის თვეში დატოვებულ იქნას ადგილზე, მეორეც, კოთედრებმა ადრევე შეიმუშაონ საკონტროლო შრომების თემატიკა, დაბეჭდონ და გაამზადონ ისინი, დროულად თარგმნონ და სათანადო რაოდენობით დაბეჭდონ სასწავლო პროგრამები, ამისათვის კი აუცილებელია გამოიყოს მბეჭდავები, რომლებიც დაუსწრებელ განყოფილებას მოემსახურებიან.

1959 წლის ზაფხულში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩარიცხულ დაუსწრებლებს შესაფერი ლექციები არ ჩატარებიათ, არც პროგრამები და საკონტროლო თემები დარიგებიათ, რადგანაც ზოგიერთ მათგანი ჯერაც ელოდება დაბეჭდვას.

ზემოგზავნ ორგანოების მითითებით სკკპ ისტორიის კათედრებს ნება ეძლევათ, თუ კი ეს სტუდენტების სურვილიც იქნება, „შეცვალონ საკონტროლო წერითი სამუშაოები შესაბამისი თემების ზეპირი ჩათვლით“, სავსებით მიზანშეწონილი იქნება აღენიშნოთ, რომ ის, რაც დასაშვებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში, შეიძლება გავრცელდეს სხვა საგნების მიმართაც. ამიტომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, ნება მოეცეს სათანადო კათედრებს, მათი გადაწყვეტილების მიხედვით, საკონტროლო წერითი სამუშაოების ნაწილი შეცვალონ შესაბამისი თემების ზეპირი ჩათვლით.

წარმოებიდან მოუწყვეტლივ სტუდენტთა სწავლებას პარტია და ხელისუფლება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნევენ, ამიტომ ეს საქმე ჩვენი მუშაობის ძირითად რგოლად უნდა ჩავთვალოთ. ფაკულტეტს სისტემატური კავშირი უნდა ჰქონდეს დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებთან. საჭიროა მათთან ხშირი მეთოდური ხასიათის მიმოწერა, მათთვის სათანადო მეთოდური დახმარების გაწევა როგორც წერილობით, ისე ადგილებზე ჩასვლის გზით.

აუცილებელია, იმ ქალაქებში, რაიონებში, რომელთა ირგვლივ მდებარე ადგილებზე მოდის დაუსწრებელთა მეტი რაოდენობა, შეიქმნას სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები. ამასთან, იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ქ. თბილისსა და სამგორის რაიონში ცხოვრობენ უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას ქალაქის ჯგუფები, სადაც სათანადო ცხრილით უნდა ტარდებოდეს ლექციები კვირაში 3-4 ჯერ, ოთხ-ოთხი საათის რაოდენობით. მართალია, ეს კეთდება დაუსწრებელ ეკონომიურ ფაკულტეტზე, მაგრამ სხვა ფაკულტეტებზე ამ მხრივ საქმე ჯერ-ჯერობით მოგვარებული არაა.

დაუსწრებელსა და სალამის განყოფილებებზე მოსწავლე სტუდენტებისათვის, რომლებიც იმავე დროს წარმოებაშიც არიან ჩაბმული, ზემდგომი ორგანოებს დადგენილებით დაწესებული მთელი რიგი შეღავათები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 720 დადგენილებით კეთდნელი შვებულების გარდა დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს ხელფასის ანაზღაურებით წელიწადში ეძლევათ დამატებითი შვებულება 30 კალენდარული დღის რაოდენობით; სადიპლომო შრომების მომზადებისა და დაცვის პერიოდში—4 თვე, ხოლო სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების პერიოდში—30 კალენდარული დღე.

იმისათვის, რომ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს მეტი ქმედითი დახმარება ჯერ-კიდევ არ იყო დამეკვლილი; ზოგიერთ დისციპლინაში ეს საქმე დღემდე ჭიანურდება.

ამჟამად დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები გამოძახებული გეყოვნა. მაი 4 ივნისის დაეწყოთ ლექციათ-სემინარები, რაც 16 ივნისრამდე გასტანს. დაუსწრებელთან ლექციათ-სემინარებს ატარებენ ცნობილი მეცნიერები—პროფ. გ. მელიქიშვილი, პროფ. გ. ჩიტაია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლ. გორგიელაძე, დოც. ვ. ალექსიშვილი და სხვ. სტუდენტების ჩამოსულამდე ჩატარდა კათედრების გამგეებისა და ლექტორების თათბირი, რომელმაც იმსჯელა დაუსწრებელთან ლექციათ-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მეთოდებზე, მათთან მუშაობის ფორმებზე.

დაუსწრებელ სტუდენტებთან, რომლებიც მეორე ხნით არიან გამოძახებული, არ გამოდგება მუშაობის ის მეთოდი, რომელიც საერთოდაა მიღებული. ლექციების დროს მათ უნდა მიეცეთ ძირითადი მიმართულება საკვანძო საკითხების ირგვლივ. სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომლებსაც საღამოს საათებში ვატარებთ, სტუდენტებს უნდა დაეეხმაროთ იმ მხრივ, რომ აუდიტორიებში ვასწავლოთ ის, რაც აუცილებელია პირველ რიგში. ამ მხრივ სამაგალითოა სკკპ ისტორიის კათედრის მუშაობა (კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. გორგიელაძე). სემინარის ხელმძღვანელი დოც. გ. აბულაძე სტუდენტებს ავარჯიშებს იმ თემების ირგვლივ, რომლებიც მათ ან ზეპირად უნდა ჩათვლის, ან დაწერონ.

გაემართლებად მიგვაჩნია ის, რომ პრაქტიკული მეცადინეობისას დაუსწრებელ სტუდენტებს მივცეთ თემები და მათი დაბუმაცება მოვიხოვოთ მეორე ან მესამე დღისათვის, როგორც ეს დაუსწრებელზეა მიღებული; დაუსწრებელი სტუდენტები ამას ვერ გაეკეთებენ, მით უმეტეს ისეთ დისციპლინებში, რომლებშიც სახელმძღვანელოები არ მოიპოვება ქართულ ენაზე (მაგ., სსრკ ხალხთა ისტორია), პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც სალამის საათებში ტარდება (ლექციები დღისით ეკითხებათ 6-6 საათი), უნდა გადავაქციოთ ერთგვარ ჯგუფურ მეცადინეობად, რომელიც მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ტარდება. ეს გაკეთებით ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ის, რომ დაუსწრებლებს, შაბლონურად დარიგებული თემების შესრულება მეორე-მესამე დღისათვის მოათხოვოთ წერილობითი სახით. ჩვენი შეხედულებით, ჩამოსულ სტუდენტებს სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე უნდა დავეხმაროთ იმ მხრივ, რომ შეისწავლონ ცალკეული საკითხები და შეძლონ მათი ზეპირი ჩათვლა, ამასთან, დავუტოვოთ საკონტროლო თემები წერითი სამუშაოებისათვის და მივცეთ პრაქტიკული მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ დაამუშონ ეს თემები დამოუკიდებლად.

დაუსწრებელი განყოფილების იმ სტუდენტებს, რომლებსაც მომზადებული აქვთ საგნები, რეკტორატთან შეთანხმებით, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ, ვადაზე ადრე ჩააბარონ გამოცდები.

ისტორიის ფაკულტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ნაყოფიერად და ორგანიზებულად დაამთავროს მუშაობა ლექციათ-პრაქტიკუმებზე. ამჟამად გამოძახებული დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებთან.

დოც. ზაქარია ფშველიძე,
ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებთან

სპორტსმენი—ყრილობის დელეგატი

...სწორაფი ელითები, რთული კომბინაციები ერთმანეთს სცვლის. სპორტულ ხალიჩაზე ლამაზი ქარგა ისახება.

როცა თავისუფალ ვარჯიშს უყურებ, გიზიდავს შესრულების სილაღე, და არასოდეს გაგიჭირდება, რამდენი შრომა, ნებისყოფა იყო საჭირო ოსტატობის დაუფლებისათვის.

ასე იყო ახლაც.

...როცა სპორტსმენმა ქალიშვილმა ვარჯიში დაამთავრა, — ტაში მოსწყვდა დარბაზს. მაყურებლებთან ერთად თვით სპორტსმენებიც მოიხიბლნენ. ზოგი მათგანი მიეკრა მასთან და სთხოვა — .მათთვისაც ესწავლებინა თავისი ვარჯიში.

ეს მოხდა 1959 წელს, შემოდგომაზე, ქართველი სპორტსმენების გამოსვლის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ეს ქალიშვილი მზია ნინოშვილი იყო.

მზიამ მართლაც ასწავლა ჩინელ კოლეგებს თავისი თავისუფალი ვარჯიში და, თუ თქვენ ჩინეთში მოხვდებით, შეგიძლებთან ნახოთ მზიას ვარჯიში ჩინელი გოგონების შესრულებით.

ბრწყინვალედ გამოვიდა მზია გუნდის წევრებთან ერთად ჩინეთის 4 ქალაქში: პეკინში, ხანოიში, ციანძში და ხანჯოუში; რომ გეკითხო ჩინელებისათვის რა უფრო მოსწონდათ მზიას გაპრსულში, გიპასუხებდნენ: ლამაზი და მიმზიდველი ღიმილი, ურომლისოდაც, მართლაც, რომ წარმოუდგენელია მზია ვარჯიშის დროს...

მაგრამ ამ ღიმილს ზოგჯერ ტკივილიც შეჰპარვია. რაგაში ხაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ასპარეზობაზე მზიამ ფეხი დაიზიანა. მას უნდა შეწყვეტა გამოსვლები — ასე გადაწყვიტეს — ექიმებმა და მწვრთნელებმაც. მაგრამ... საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდი, რომელიც ორი წელი ზედიზედ თასის მფლობელი იყო, ამ სპპატო ჯილდოს დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და მზიამ გადაწყვიტა ევარჯიშნა. ალბათ იქ დამსწრეთაგანს არავის შეუმჩნევია მზიას სახეზე ტკივილი, რომელსაც იგი ვარჯიშის დროს განიცდიდა, რადგან მზიამ ბრწყინვალედ შეასრულა ნებისმიერი თავისუფალი ვარჯიში და პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს გუნდმა კი თასი მესამედ მოიპოვა.

ესეც 1959 წელს იყო.

ამ წელს კიდევ მრავალი წარმატება ჰქონდა მზიას: საქართველოს სპორტაციადაზე მან II ადგილი დაიკავა, ხოლო სპორტსზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე, — რომელიც მინსკში ჩატარდა, I ადგილი არავის დაუთმო.

მაინც ყველაზე დიდი წარმატება მზიასათვის ამ წელს უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომა იყო. ამჟამად იგი ფურნალისტიკის განყოფილების პირველ კურსზე სწავლობს.

შრომისმოყვარე და სწავლისმოყვარე სპორტსმენი ქალიშვილი ყველას უყვარს, განსაკუთრებით მის კოლეგებში. ამიტომაა, რომ იგი კ. თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის კონფერენციამ საკართველოს კომკავშირის XXIII ყრილობის დელეგატად აირჩია. მზია ცდილობს ამ დიდ ნდობას ახალი წარმატებებით უპასუხოს სწავლასა და სპორტში.

1960 წელი მზიასათვის სერიოზული გამოცდების წელი იქნება. საზამთრო საგამოცდო სესიები მზიასათვის პირველი სესიებია უნივერსიტეტში. სპორტული ცხოვრება კი უფრო საინტერესო ამბებს ბპარდება. მზიას მრავალი სპორტული შეჯიბრება ელოდება, ყველაზე მნიშვნელოვანი კი რომის ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებაა. მზია ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაშია, ასპარეზობაში მის მონაწილეობას კი შერჩევითი შეჯიბრებები გადაწყვეტს.

ლამარა თელია,
ლია თოდუა.

სურათზე: ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი მზია ნინოშვილი უნივერსიტეტის ტანვარჯიშულ დარბაზში ვარჯიშის დროს.

მყარი სხეულების ფიზიკის კათედრასთან

მიმდინარე წლის დასაწყისში უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე მყარი სხეულების ფიზიკის კათედრასთან (გამგე პროფ. ა. მირცხულავა) დაარსდა ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორია. მას შემდეგ 10 თვე გავიდა და ლაბორატორია ბევრი საინტერესო ხელსაწყო-დანადგარითა და აპარატურით შეიარაღა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ხნის განძინაზე ლაბორატორიისათვის შეძენილ მოწყობილობათა საერთო ღირებულება 850 ათას მანეთს აღწევს. განზრახულია 1960—1961 წლებში ლაბორატორია კიდევ შეიგსოს 2 მილიონამდე მანეთის ღირებულების მოწყობილობით. თუ ამას დავუმატებთ კათედრასთან არსებულ იმ აპარატურასაც, რომლის საერთო ღირებულება თითქმის 3 მილიონ მანეთს შეადგენს, გასაგები გახდება, თუ რა დიდი იქნება ეს ლაბორატორია არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ მთელი რესპუბლიკის მაშტაბით, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს მყარი სხეულების ფიზიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომ გაშლას.

ლაბორატორიის მუშაკები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად და მუშაობენ ელექტრული გაზომვების, ფოტოელექტრული და ოპტიკური გაზომვებისა და ტექნოლოგიური ფიზიკის საკითხებზე.

მყარი სხეულების ფიზიკის კათედრასთან, გარდა ამ ლაბორატორიისა, არსებობს სამი სასწავლო ლაბორატორია: ნახევარგამტართა ფიზიკისა, დიელექტრიკებისა და მეტალთა ფიზიკისა. ამ ლაბორატორიებში სისტემატურად მუშაობენ სტუდენტები, აყენებენ ცდებს, ექსპერიმენტებს და ამ გზით იღრმავებენ თეორიულ ცოდნას. სტუდენტები პრობლემური ლაბორატორიის სტუმრებიც არიან. ისინი აქ თავიანთი მეცნიერი ხელმძღვანელების დახმარებით მუშაობენ საკურსო და სადიპლომო თემების მომზადებაზე, სამეცნიერო წრეებში წასაკითხი თემატური მოხსენებების მომზადებაზე და სხვ.

იოსებ ჩილაშვილი

ჩეხოსლოვაკელი მეცნიერი წერს...

(პროფ. კონსტანტინე წერეთლის წიგნის — „თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ — რეცენზია ჩეხურ სამეცნიერო ჟურნალში)

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1958 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა პროფ. კონსტანტინე წერეთლის ნაშრომი — „თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“. აღნიშნულმა წიგნმა, როგორც მკითხველებმა უკვე იცან, საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის დაწესებული პირველი საუნივერსიტეტო პრემია დაიმსახურა. ამ რამდენიმე დღის წინათ უნივერსიტეტმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ორგანო „Archiv Orientalni“-ს 1959 წლის №-4 ნომერი, რომელშიც მოთავსებულია პრაღის უნივერსიტეტის პროფესორის — სტანისლავ სეგერტის რეცენზია კ. წერეთლის დასახელებულ წიგნზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ აღნიშნული რეცენზიის თარგმანს.

თბილისის უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის შრომების პირველი სამი ტომი წარმოადგენს სახელმძღვანელოებს არაბულ ენაში. ესენი არიან პროფესორ გიორგი წერეთლის ქრესტომათია და არაბულ-ქართული ლექსიკონი და ა. ს. ლეკაშვილის არაბული ზმნის პარადიგმები. სარეცენზიო ტომი სახელმძღვანელოა თანამედროვე აღმოსავლური სირიული ენისა, რომელზეც მეტყველებდნენ ურმიის ტბის რაიონში. პირველი მსოფლიო ომის დროს ურმიის სირიელთა დიდმა ნაწილმა განიცადა მუსლიმანთა დევნა და თავი შეაფარა ამერკავკასიას. საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით თბილისსა და მოსკოვში, ამ ენაზე საკმაოდ დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა წიგნები და გაზეთები. ამ მიზნით მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში გამოყენებული იქნა ლათინური დამწერლობა, ხოლო ტრადიციული ნესტორიანული დღესაც კვლავ იხმარება.

პროფესორი გიორგი წერეთელი წინასიტყვაობაში* (გვ. V—IX) მიუთითებს საბჭოთა კავშირში გამოცემულ თანამედროვე არაბული ენის გრამატიკებსა და ქრესტომათიებზე, აგრეთვე უცხოეთში უფრო ადრე გამოქვეყნებულ ანალოგიურ ნაშრომებზე. დ. ტ. სტოდარდის (1855 წ.) და ა. ჯ. მაკლეინის (1895 წ.) გრამატიკები შეიცავენ მასალას, რომელიც დამახასიათებელია როგორც ტრადიციისათვის, ისე ცოცხალი მეტყველებისათვის. თ. ნელდეკეს გრამატიკა (1868 წ.) ამჟამადაც სანიმუშოა. საერთოდ, სასკოლო ქრესტომათიების გარდა, ერთადერთი, რომელიც დღემდე იყო მისაღები, ეს ა. მერქსის მიერ შედგენილი ქრესტომათიაა (1873 წ.).

კ. წერეთლის ახალი ქრესტომათიის ტექსტებში დაცულია ორიგინალის ორთოგრაფია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც ტექსტები თავდაპირველად ლათინური შრიფტით იყო დაბეჭდილი, ხოლო აქ გადმოცემულია ნესტორიანულით. ლექსიკონი, რომელიც ქრესტომათიის ერთვის, მნიშვნელოვანი შენაძენია ახალი სირიული ლექსიკონებისა, რომელთა რაოდენობა მცირეა. მათგან ყველაზე ვრცელია ა. ჯ. მაკლეინის მიერ შედგენილი ლექსიკონი (1901 წ.). იგი თანამედროვე დასავლური არამეული დიალექტების მასალასაც შეიცავს. მ. ლიმბარსკის მიერ ბერლინის ტექსტების გამოცემაზე დართული გერმანული ლექსიკონი და რუსული ლექსიკონები ა. კალაშვილისა და არჭანდრიტ სარგისისა უფრო მცირეა მოცულობით. ავტორის მიერ გათვალისწინებულია აგრეთვე რ. პეინ-სმითისა და ჯ. ბროკელმანის კლასიკური სირიულის დიდი ლექსიკონები. კ. წერეთლის ახალი ლექსიკონი შეიცავს სიტყვებს ადგილობრივი დიალექტებიდანაც, სიტყვებს, რომელთაც ლექსიკონებში ჯერ კიდევ ვერ გაუკვლევიათ გზა.

ახალ სირიულ ენაზე მოლაპარაკე პირთა დახმარება, რომელთათვისაც ეს ენა მშობლიურია, მეტად ფასეული ყოფილა როგორც წიგნის შედგენისას, ისე მისი ბეჭდვის დროს.

ქრესტომათია (გვ. 1—165) დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველი ნაწილი (გვ. 3 — 15) წარმოდგენს გრამატიკულ საკვანძოებს. მეორე ნაწილი (გვ. 16—32) შეიცავს მცირე ზომის არაკებსა და მოთხრობებს, მაშინ როდესაც მესამე ნაწილში (გვ. 33 — 144) მოცემულია უფრო ვრცელი ნაწარმოებები. მასალა უმეტესად ალებულია ძველი ქრესტომათიებიდან და ახალი სირიული პერიოდიკიდან. პოპულარული „ჯილილა და დამანა“ წარმოდგენილია მრავალი არაკით. მესამე ნაწილის ბოლოს. მოცემულია რამდენიმე ვრცელი ტექსტი: როგორც თარგმანები ქართულიდან — ქართული ნაციონალური ეპოსისა — „ვეფხვი ტარიელისა“ (ხალხური) და რუსულიდან — მ. გორკის თხზულებისა — „მოგონებანი ბავშვობაზე“, ისე ორიგინალურიც — თანამედროვე ხალიფილი მწერლისა პ. ბაკუზოვისა.

მეოთხე ნაწილში (გვ. 115—165) წარმოდგენილია რამდენიმე თავი ბიბლიიდან (1893 წ. გამოცემა). აქ არის ტექსტები ოთხივე სახარებიდან, დაბადებიდან, გამოსლვათაგან, ისაიადან და ფსალმუნიდან, ხოლო რუთის წიგნი მოცემულია მთლიანად.

ახალი სირიული-რუსული ლექსიკონი (გვ. 01 — 0224) იწყება კონსტანტინე წერეთლის წინასიტყვაობით (გვ. 3). ლექსიკონი დალაგებულია ანბანის რიგზე, ხოლო სირიულ სიტყვებთან მითითებაა მათ ძირებზე, სადაც ყველა ნაწარმოები ფორმა დაჯგუფებულია მისი გრამატიკული კატეგორიის შესაბამისად. ანბანის ტაბელა (გვ: 06 — 07) შეიცავს 30 ასოს (თანხმოვნებს), 4 სპირანტული ვარიანტისა და ამდენივე დიაკრიტიკული ნიშნის მქონე ასოს ჩათვლით. (მოკვნის ნიშნებში zlāmā kirjā(i) შეცდომით აღნიშნულია ā-ს ნიშნით; სწორი ფორმა შედგება ორი პარალელურად დასმული წერტილისაგან ასოს ქვეშით). მოცემულია ასოებისა და ხმოვნის ნიშნების რუსული ტრანსლიტერაცია, ხოლო ფონეტიკური ტრანსკრიფციის მეტად ზუსტი სისტემისათვის (გვ. 08 — 09) გამოყენებულია ლათინური ასოები.

ლექსიკონი (გვ. 010—0224) კარგადაა დალაგებული და შედგენილი. ყოველ სირიულად დაწერილ სიტყვას მოსდევს მისი ფონეტიკური ტრანსკრიფცია და რუსული ეკვივალენტი. ნასესხებ სიტყვებს ავტორი ზედიზედ ეთანხმება ეპარაბა. აქ გვხვდება მრავალი სიტყვა, ნასესხები სპარსულიდან და ქართულიდან, თურქულიდან და აზერბაიჯანულიდან, ხოლო არაბულიდან სიტყვები ხშირად შემოსულია ერთ-ერთი ზემოხსენებული ენის მეშვეობით. აქვე ნასესხები სიტყვები ებრაულიდან, ბერძნულიდან, ქართულიდან და რუსულიდან. პროფესორი კ. წერეთელი ნასესხებ სიტყვებს ყველგან მიუთითებს მათ ამოსავალ ფორმას ორიგინალის ენაზე, ორიგინალისავე დამწერლობით.

პროფესორ კონსტანტინე წერეთლის ქრესტომათიაში ფართოდაა წარმოდგენილი ახალი სირიული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრი. მისი ლექსიკონი მნიშვნელოვანი წვლილია არამეულ და სემიტურ ლექსიკოგრაფიაში. ამასთან, ეგი ქმნის კარგ საფუძველს სიტყვათა სესხებიას შესწავლისათვის როგორც სხვადასხვა ენათა შორის, რომლებიც ევფრატის სათავეების მახლობელ რაიონში გავრცელებული, ისე, საერთოდ, ამ მოვლენის შესწავლისათვის. ხსენებული ქრესტომათიის მეცნიერული სიზუსტისა, პრაქტიკულად მოხერხებულობისა და ხელმისაწვდომი ფასის გამო, ეს ქრესტომათია შეიძლება მხურვალედ რეკომენდებულ იქნას უნივერსიტეტებში სტუდენტებისათვის და ასევე სემიტური ენების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის. პროფესორმა კონსტანტინე წერეთელმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ახალ სირიულს მისი მრავალრიცხოვანი სტატიებითა და თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკის ნარკვევით. პროფესორ კ. წერეთლის შრომები ჭეშმარიტად გაალვიძებს ინტერესს ახალი სირიულისადმი, რომელიც თავისი სტრუქტურითა და ლექსიკით საგრძნობლად დაშორდა სემიტურ ენებს; სწორედ ამის გამო იგი სემიტოლოგებისაგან მეტ ყურადღებას იმსახურებს.

სტანისლავ სეგერტი,
პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი.

* იგულისხმება პროფ. კ. წერეთლის წიგნის—„თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ წინასიტყვაობა, დაწერილი პროფ. გ. წერეთლის მიერ.



სურათზე: საკ. კ. პ. ისტორიის კაბინეტში სტუდენტთა ერთი ჯგუფი მეცადინეობის დროს.

ფოტო გ. გაბუნიასი

სტუმრად ნორჩებთან

ამსწინათ ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქიმიის კაბინეტის ნორჩმა ქიმიკოსებმა შეარება მოსწავეს თქმაზე: „ესწავლობთ ქართველი ქიმიკოსების ცხოვრებას“.

ამ დღეს ნორჩი ქიმიკოსების სტუმრები იყვნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის პროფესორები: ნინო ციციშვილი, ილია გვერდწოელი და ალექსანდრე ნოღაიდელი.

სტუმრებს შესავალი სიტყვებით მიესალმნენ 30-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ნინო ოქროპირიძე, რაჭინგზის მე-7 საშუალო სკოლის მეათეკლასელები: ლეონა ბერძენიშვილი და ლეონა წერეთელი. მოსწავლეთა მიერ წაკითხული იქნა შინაარსიანი და საინტერესოდ დამუშავებული თემები.

შეკრებილთ მხურვალედ მიესალმა ნორჩ ქიმიკოსთა ამავე კაბინეტში აღზრდილი, ამჟამად კი ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ნანა რუსია.

შეხვედრის დღეს აქ მოეწყო გამოფენა და გამოშვებულ იქნა სპეციალური კედლის გაზეთი მოგონებებითა და იმ ფოტოსურათებით, რომლებიც გადაღებული აქვთ ნორჩ ქიმიკოსებს მათს სამაგალითო სტუმრებთან: პროფ. ნ. ციციშვილთან და პროფ. მ. ბეკეთაასთან ერთად მუშაობის პროცესში, როგორც პიონერთა სასახლეში, ისე ქართული მეცნიერების დიდი ტაძრის — უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში.

შეხვედრის დასასრულს მეშვიდეკლასელმა ეთერი კოპტონაშვილმა ახალგაზრდობის სახელით დიდხანს სიტყვებლე და მეცნიერულ მოღვაწეობაში წარმატებები ესურვა ძვირფას სტუმრებს.

სტუმრებს ნორჩებისაგან სამახსოვროდ გადაეცა ყვავილების ცოცხალი თაიგულები.

სტუმრებმა პატარა ქიმიკოსებს მადლობა გადაუხადეს ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის და მოეწონდა, რათა მალეულელთ არ დამაყოფილდნენ, კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოიპოვონ სწავლაში.

ბოლოს ნაჩვენები იქნა კინოფილმი. შეხვედრამ მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ნუგზარ ცაგურია

ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტ. განყ. მეხუთე კურსის წარჩინებული სტუდენტი ლამარა თუსარელი (პარაბნენე) გამოცდებზე ყოველთვის მომზადებული მოდის. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მას სწორედ მაშინ გადაუღო სურათი, როცა იგი თავის მეგობარს უყვებოდა, თუ როგორ მიიღო ფრიადი ფილოსოფიის ისტორიაში.

ჩვენი ... შეხედვა

* * *

ჩვენი გაზეთის გასული წლის 25 დეკემბრის ნომერში (№ 34) დაბეჭდილი იყო ზ. შველიძის წერილი — „პარტიული ბიუროები ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის სამზადისში“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი პროგრამები.

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი პროფ. ნ. ქოიავა გვატყობინებს, რომ პოლიტიკური ეკონომიის პროგრამა (150 საათიანი კურსისა) უკვე დაბეჭდილი და დარიგებულია სტუდენტებისათვის.

* * *

ჩვენი გაზეთის იმავე ნომერში დაბეჭდილ წერილში „საჭიროა მოწესრიგდეს“ აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტის I კორპუსის სამკითხველო დარბაზში ხშირად ირღვევა წესრიგი, არის ხმაური, რაც ხელს უშლის მომეცადინეებს ნორმალურ მუშაობაში, ხოლო ამ მხრივ უმოქმედობას იჩენენ სამკითხველო დარბაზის თანამშრომლები.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, ამხ. დ. მარკეევი გვატყობინებს, რომ სტუდენტებისათვის სამკითხველო დარბაზში მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის დირექციამ უკვე გაატარა საჭირო ღონისძიებანი. მიმდინარე წლის 3 იანვრიდან სტუდენტთა სამკითხველო დარბაზზე დაინიშნა გამგე, შეცვლილი იქნენ I კორპუსის სამკითხველო დარბაზის თანამშრომლები. ახლა ბიბლიოთეკის სისტემატურად ადევნებენ თვალყურს სტუდენტთა დისციპლინას.

თბილისის პირველობა



გრძელდება შეჯიბრება ჭადრაკში თბილისის 1960 წლის პირველობაზე.

მეცხრე ტურში ტურნირის ლიდერის თ. კიკანის შეხვედრა ჰ. არნშტეინთან ყაიმით დამთავრდა. სუსტად ჩაატარა ამ დღეს თავისი შეხვედრა გ. კალატოზიშვილთან მ. თხელიძემ და დამარცხდა. სხვა პარტიებში ბეცხრაკიძემ მოუგო ალიბანოვს, გიგუამ — ჩირგაძეს, ვარკველიმ მიქაელიანს.

მეთე ტურში ერთადერთი პარტია იყო შედეგიანი: ჩირგაძემ მოუგო ბეცხრაკიძეს. ალიბანოვ-კალატოზიშვილის, მიქაელიან-გიგუას, გამრეკელ ჯანოევის, თხელიძე-ეგიაშვილის, ელიოზიშვილ-გაბრიაძისა და ჯინჯიხაშვილ - არნშტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ბლაღიძემ მოუგო ჯინჯიხაშვილს, გერასიმოვ თავის შეხვედრები ყაიმით დამთავრა კიკანთან და გაბრიაძესთან.

მეთორმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერის კიკანის შეხვედრა ელიოზიშვილთან. კიკანმა ეს შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და გაიმარჯვა. „ხანგრძლივი შესვენების“ შემდეგ ამ დღეს გამარჯვებას მოაღწია არნშტეინმაც — გერასიმოვთან. კალატოზიშვილმა მოუგო ჩირგაძეს. ჯანოევმა — გიგუას. ბლაღიძე-გამრეკელის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თერმეტი ტურის შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტმა ოსტატობის კანდიდატს თ. კიკანს 10 შესაძლებელიდან მოგროვილი აქვს 8 ქულა და მეტოცედ ინარჩუნებს ლიდერობას. 6,5—6,5 ქულით შემდეგ ადგანენ ბლაღიძე და ჯანოევი.

საკურსო სპექტაკლი

როგორც მკითხველებმა უკვე იცით ამ რამდენიმე ხნის წინათ ს